სსიპ თბილისის მერიის არქიტექტურის
საქალაქო სამსახურს

ამხანაგობა "ვაკე 2001"
წარმომადგენლის დიმიტრი მაისურაძის
მის. ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.#29-31-33

ტელ.:599 50 16 44

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ჩვენი ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.004.023) ინტენსიურად მიმდინარეობს მშენებლობის მოსამზადებლად საჭირო სამუშაოები, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მშენებლობის ნებართვა ჯერ გაცემული არ არის. კერძოდ ადგილი ჰქონდა ნაკვეთზე არსებული ხეების უკანონოდ მოჭრის ფაქტს, რასაც ესწრებოდა და ხელს უწყობდა ქალაქის საკრებულოს წევრი ბ-ნი ზურაბ გაჩეჩილაძე (შონზო) აღნიშნულ კრიმინალურ ფაქტზე აღძრულია საქმე შსს მიერ. ასევე ადგილი აქვს გაზის მილის გადატანის სამუშაოებს. მიწის ნაკვეთის მფლობელების მხრიდან ადგილი აქვს ჩვენს მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებას, თითქოსდა ყველაფერი შეთანხმებულია, ჩვენ არავინ არაფერს არ გვეკითხება და.ა.შ. ამ ფაქტს აძლიერებს ზემოთ აღნიშნული საკრებულოს წევრის მონაწილეობა. თქვენი წერილის თანახმად ჩვენ ჩართული ვიქნებით მხარედ. ამასთან ერთად გთხოვთ ნებართვის მისაცემად აამოქმედეთ პუნქტი მეზობლების თანხმობა, რადგანაც ბევრი ყოფითი პირობა ირღვევა. სამი წლის წინ ჩვენს სახლში მოხდა ხანძარი და რომ არა ამ მხრიდან მეხანძრეების რეაგირება, დღეს ჩვენი სახლი აღარ იარსებებდა. ამ ვირტუალური პროექტის შემთხვევაში კი ყველაფერთან ერთად დარღვეული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. იმედი გვაქვს ადგილი არ ექნება რაიმე ფორმით ფარულ, უკანონო გარიგებას. დაბეჯითებით მოვითხოვთ, კიდევ ერთხელ გაითვალისწინოთ ჩვენი კორპუსის სპეციფიკა, ბინები არის ცალმხრივად განათებული და დაუშვებელია რამოდენიმე მეტრში 70 მეტრამდე ყრუ კედლის ამოშენება. აღნიშნული თუ მაინც განხორციელდება, რაც ცალსახად უკანონო იქნება და მის შესაჩერებლად მივმართავთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა კანონიერ საშუალებებს, გამოიწვევს ბინებში ნესტის, დაავადებების კერების გაჩენას, შეარყევს ათობით ადამიანის ჯანმრთელობას და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას. ნაკვეთზე წარმოდგენილი პროექტი თქვენი სამსახურის მიერ არ შეთანხმდა, ვინაიდან არ არსებობდა ხეებთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურის ნებართვა, გაცნობებთ, რომ ასეთი ნებართვა დღესაც არ არსებობს და ვერც იარსებებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ადგილი ჰქონდა კრიმინალურ შემთხვევას. გამომდინარე ზემოთქმულიდან, გთხოვთ არ დაუშვათ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.004.023) მრავალსართულიანი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არ შეიძლება ერთი პიროვნების ახირებამ დააზიანოს ათობით ოჯახის კანონიერი უფლება, რომ ბავშვები გაიზარდონ ჯანსაღ გარემოში და არ აღმოჩნდნენ ხელოვნურ ციხეში. ეს ტერიტორია მათ შეძენილი აქვთ ორი წლის წინ, ჩვენი სახლი კი არსებობს ბევრად დიდი ხანი და მათ უნდა სცოდნოდათ, რომ სხვისი უბედურების ხარჯზე არ შეიძლება პირადი ბედნიერების მოწყობა და სიტყვა ჩემია, რასაც მინდა იმას ვიზამ აქ უადგილოა.

პატივისცემით,
დიმიტრი მაისურაძე